საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშლიჯვარი



ვაშლიჯვარი, უბანი, ყოფილი სოფელი თბილისის დასავლეთ ნაწილში, მტკვრის ხეობის მარჯვენა მხარეს, მდ. დიღმისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ძირითადად ონადირის მთის ფერდობის ირგვლივ. ვ-ში აღმოჩენილი არქეოლ. ძეგლები ადასტურებს, რომ აქ ადამიანს ჯერ კიდევ ძვ. წ. IV–III ათასწლეულებში უცხოვრია. 1959 დიღმისწყლის ხიდთან აღმოჩნდა გვიანდ. ანტ. – ადრეფეოდ. ხანის ორმოსამარხები და ქვაყუთები. ვ-ის მიდამოებში რეგულ. არქეოლ. გათხრები 1968-იდან ტარდება. 1972 დიღმისწყლის მარჯვ. სანაპიროზე მდებარე ქედზე აღმოჩნდა ადრეფეოდ. ხანის IV–VII სს. სამაროვანი, 1981 – მტკვარ-არაქსის ეპოქისა და ახ. წ. I ათასწლ. ძეგლები. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) ადრინდ. შუა საუკუნეების სამაროვანზე აღმოაჩინა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები და ქვაყუთები. ქვის ფილებით გადახურული სამარხები ინდივიდუალურია, ხოლო ქვაყუთები – ძირითადად კოლექტიური, რ-ებშიც ორიდან ოთხამდე მიცვალებულია დაკრძალული. ორივე ტიპის სამარხში მიცვალებულები დამარხული იყვნენ ქრისტ. წესით – გაშოტილი, გულხელდაკრეფილი, თავით დას-კენ. ვ-ის სამაროვანზე გათხრილი სამარხების ძირითად არქეოლ. ინვენტარს სამკაული და ტანსაცმლის აქსესუარები წარმოადგენს. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები თარიღდება IV–V სს-ით, ხოლო ქვაყუთები – VI–VII სს-ით. ვ-ის ისტ. ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფ. დიღომთან. გვიანდ. შუა საუკუნეებში ვ. დიღმის მოურავის იურისდიქციას ექვემდებარებოდა. XIX საუკუნეში აქ გაშენდა ზვრები, საბჭ. პერიოდში კი დაარსდა საქართვ. მევენახეობა-მეღვინეობის კვლევითი ინ-ტი თავისი ექსპერ. ბაზით, რ-იც საქართვ. ქალაქებსა და სოფლებს საადრეო-სასუფრე ყურძნის ჯიშით ამარაგებდა. XIX ს. 80-იან წლებში ვ. სოფლის ტიპის დასახლება იყო. შემდეგ აქ გაშენდა

ახ. უბანი მრავალსართულიანი სახლებით დაახლ. 40 ათას მოსახლეზე. ქ. თბილისს შეერწყა 1972. ვ-ში შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების ონადირის (მონადირის) დარბაზული ეკლესია (IX–X სს).

ლიტ.: თბილისი. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1978; ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი ვ., ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან, კრ.: საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978; მ ი ს ი ვ ე , ვაშლაჯვარას სამაროვანი, იქვე, II, თბ., 1979; მ ი ს ი ვ ე , დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში, იქვე, III, თბ., 1985; ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (დიღმის ხეობა), წგ. 1, თბ., 1969; ქ ო რ ი ძ ე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. 1, თბ., 1955.

მ. აბრამიშვილი

ვ. ნიკოლაიშვილი

ა. სონღულაშვილი